ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4222173

ნომერი: AR1635536

თარიღი : 05.10.2018

გაცემის თარიღი : 17.10.2018

გაცნობის თარიღი : 17.10.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ც. დადიანი , N 265-267;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მუნირ მამდუჰ ავად ავად პ/ნ A3962841
- გურჯაანი, ს. კაჭრეთი

ნომენკლატურა :

- ფაბრიკა
- II კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს ,,თბილისი გეით ინვესთმენთ ენდ თრეიდინგ"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 427723813
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: მუნირ მამდუჰ ავად ავად
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: A3962841

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1635.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 68.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 291.0

- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 184.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 107.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 4.8
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 2.5
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 2.3

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

- თქვენ დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმაზე არ ფიქსირდება შენობის რეგისტრაცია. ამასთან, განმარტებით ბარათში განმარტავთ, რომ გარკვეული ნაგებობების მშენებლობა, რომლის დემონტაჟსაც ითხოვთ უნებართვოდაა მოწყობილი. გაითვალისწინეთ, რომ იმ შემთხვევაში თუ სადემონტაჟო ობიექტები უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშეა, შესაბამისად აღნიშნული წარმოადგენს უნებართოდ აშენებულ ნაგებობებს და მათი დემონტაჟი უნდა განხორციელდეს ზედამხედველობის ორგანოს მიერ მითითების გაცემის საფუძველზე. აქვე განგიმარტავთ, რომ შენობის დემონტაჟი, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57–ე დადგენილების მეოთხე მუხლის პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენს მშენებლობის ერთ–ერთ სახეს, რაც სამსახურის მიერ შესაძლებელია შეთანხმებული იქნას მხოლოდ კანონიერ შენობა–ნაგებობებთან მიმართებით. უნებართვოდ შენობა–ნაგებობების აშენება ან/და დემონტაჟი კი წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობას, რაც თავის მხრივ სამშენებლო სამართალდარღვევაა. სამშენებლო სამართალდარღვევის კონტროლი ხორციელდება ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის შესაბამისად.

სხვა შემთხვევაში (თუ აღნიშნული შენობა-ნაგებობები კანონიერია და წარმოდგენილ იქნება მათი უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი) გაითვალისწინეთ:

1.დამკვეთის ინფორმაცია. -> .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი. -> .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი. -> .ტელეფონის ნომერი. .ელექტრონული ფოსტა.: ველებში უნდა დაფიქსირდეს შპს თბილისი გეით ინვესთმენთ ენდ თრეიდინგ"-ის დირექტორის მონაცემები.

2. წარმოსადგენია განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, მესაკუთრის (დირექტორი) მიერ გაცემული მინდობილობა ან შესაძლებელია მესაკუთრე დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი. გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი

თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge